სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080102619174123

№ 3413

12 / დეკემბერი / 2023 წ.

სს „საქართველოს კლინიკების“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“;

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დადებული ხელშეკრულებების რეკვიზიტები: 16.01.2023 № 47 (CMR230015288), 31.03.2023 №229 (CMR230055789) და 01.05.2023 №285 (CMR230066260);

შესყიდვის ობიექტი: 85100000 – ჯანდაცვის სფეროს მომსახურებები;

მიმწოდებელი: სს „საქართველოს კლინიკები“ (ს/ნ: 404476205);

წერილობითი შეტყობინებების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2023 წლის 7 და 8 ნოემბერს წარმოდგენილ იქნა სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ 2023 წლის 7 ნოემბრის № NCDC02301189374 და 2023 წლის 8 ნოემბრის № NCDC62301190378 და № NCDC12301189799 წერილობითი შეტყობინებები (რეგისტრაციის № 9252, № 9276 და № 9277), რომლებითაც სააგენტოს ეცნობა სს „საქართველოს კლინიკების“ (ს/ნ: 404476205) მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დადებული 2023 წლის 16 იანვრის №47, 2023 წლის 31 მარტის №229 და 2023 წლის 1 მაისის №285 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით (CMR230015288, CMR230055789 და CMR230066260) ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. სააგენტომ მიმწოდებელს, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის nikolocardio23@gmail.com მეშვეობით, 2023 წლის 13 ნოემბრის № 3458 წერილით, აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინებების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეებზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. მიმწოდებელმა 2023 წლის 22 ნოემბერს სააგენტოში წარმოადგინა 2023 წლის 21 ნოემბრის № Vian-OUT-23-1121-1208 განმარტება (რეგისტრაციის № 9765) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დადებული 2023 წლის 16 იანვრის № 47, 2023 წლის 31 მარტის № 229 და 2023 წლის 1 მაისის № 285 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით (CMR230015288, CMR230055789 და CMR230066260) ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინებების თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2023 წლის 16 იანვრის №47, 2023 წლის 31 მარტის №229 და 2023 წლის 1 მაისის №285 სახელმწიფო

შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები.

3. მიმწოდებლის პოზიცია

მიმწოდებელი ეთანხმება შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობით შეტყობინებებში მითითებულ ხარვეზებს, განმარტავს, რომ მან დეტალურად განიხილა დარღვევები, მოახდინა მათი გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება და დასახა ნაბიჯები აღნიშნული ხარვეზების პრევენციის მიზნით. მიმწოდებელი ითხოვს სააგენტომ მხედველობაში მიიღოს მოცემული გარემოება და არ განახორციელოს მისი შავ სიაში რეგისტრაცია.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2023 წლის 16 იანვარს, სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრსა“ და სს „ევექსის ჰოსპიტლებს“ (ამჟამად – სს „საქართველოს კლინიკები“) (ს/ნ: 404476205) შორის, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დაიდო № 47 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება (CMR230015288), რომლის თანახმად, მიმწოდებელს 2023 წლის 31 მარტის ჩათვლით უნდა გაეწია ბავშვთა სისხლში ტყვიის შემცველობის ბიომონიტორინგი. ხელშეკრულების ღირებულებად განსაზღვრა 249 997,50 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2023 წლის 30 აპრილი.

4.2. 2023 წლის 31 მარტს, სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრსა“ და სს „ევექსის ჰოსპიტლებს“ (ამჟამად – სს „საქართველოს კლინიკები“) (ს/ნ: 404476205) შორის, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დაიდო № 229 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება (CMR230055789), რომლის თანახმად, მიმწოდებელს 2023 წლის 30 აპრილის ჩათვლით უნდა გაეწია ბავშვთა სისხლში ტყვიის შემცველობის ბიომონიტორინგი. ხელშეკრულების ღირებულებად განსაზღვრა 83 332,50 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2023 წლის 31 ივლისი.

4.3. 2023 წლის 1 მაისს, სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრსა“ და სს „ევექსის ჰოსპიტლებს“ (ამჟამად – სს „საქართველოს კლინიკები“) (ს/ნ: 404476205) შორის, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დაიდო № 285 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება (CMR230066260), რომლის თანახმად, მიმწოდებელს 2023 წლის 30 ივნისის ჩათვლით უნდა გაეწია ბავშვთა სისხლში ტყვიის შემცველობის ბიომონიტორინგი. ხელშეკრულების ღირებულებად განსაზღვრა 166 665 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2023 წლის 31 სექტემბერი.

4.4. სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ მეცნიერების დარგში გენერალური დირექტორის მოადგილის 2023 წლის 12 ოქტომბრის № NCDC02301080789 მოხსენებითი ბარათით ირკვევა, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2023 წლის 16 იანვრის №47, 2023 წლის 31 მარტის №229 და 2023 წლის 1 მაისის №285 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები, კერძოდ, არასრულყოფილად იყო შევსებული წარდგენილი საანგარიშგებო ფორმები, შერჩევით ჩატარებული სატელეფონო გამოკითხვისას ზოგიერთ ბენეფიციარს არ ჰქონდა მიწოდებული ინფორმაცია სისხლში ტყვიის მაღალი შემცველობის შესახებ და არ ჩატარებია შესაბამისი კონსულტაცია, ზოგიერთ ბენეფიციარს ერთ საანგარიშგებო თვეში ტყვიის შემცველობის დონის განსაზღვრა (გრაფიტული აბსორბციის ატომური სპექტრომეტრული ან/და პლაზმური მასპექტომეტრული მეთოდით) ჩატარებული ჰქონდა 2-ჯერ კვლევის დაბალი შედეგის მიუხედავად, მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება უზრუნველეყო სისხლში ტყვიის მომატებული (>5.0 მკგ/დლ) შემცველობის მქონე პირველადად დიაგნოსტირებული ბავშვების არანაკლებ 90%-ის მოცვა პროგრამით გათვალისწინებული სერვისების სრული პაკეტით (კერძოდ, საანგარიშგებო პერიოდში 7 წლამდე ასაკის იმ ბენეფიციართა შორის, რომელთაც სისხლში ტყვიის მომატებული შემცველობა პირველადი კვლევით დაუფიქსირდა (84 ბენეფიციარი), მხოლოდ 38 მათგანს (45%) ჩაუტარდა მკურნალობის შემდგომი განმეორებითი დიაგნოსტიკა).

4.5. შემსყიდველი ორგანიზაციის 2023 წლის 20 ოქტომბრის № NCDC62301114147, № NCDC52301114155 და № NCDC22301114152 წერილებით მიმწოდებელს, 2023 წლის 16 იანვრის № 47, 2023 წლის 31 მარტის № 229 და 2023 წლის 1 მაისის № 285 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო, დაეკისრა პირგასამტეხლო.

4.6. № 47 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებით ირკვევა, რომ მიმწოდებელმა გასწია 172 342,50 ლარის მომსახურება, რაც ხელშეკრულების ღირებულების 69%-ს შეადგენს.

4.7. № 229 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებით ირკვევა, რომ მიმწოდებელმა გასწია 46 891,50 ლარის მომსახურება, რაც ხელშეკრულების ღირებულების 56%-ს შეადგენს.

4.8. № 285 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებით ირკვევა, რომ მიმწოდებელმა გასწია 105 262,50 ლარის მომსახურება, რაც

ხელშეკრულების ღირებულების 63%-ს შეადგენს.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ სს „საქართველოს კლინიკები“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში, ირკვევა, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2023 წლის 16 იანვრის № 47, 2023 წლის 31 მარტის № 229 და 2023 წლის 1 მაისის № 285 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები, რასაც მიმწოდებელიც ადასტურებს წარმოდგენილი განმარტებით. ამდენად, სახეზე არ არის მიმწოდებლის პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები და არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების ან/და შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.5. აღსანიშნავია, რომ სს „საქართველოს კლინიკებს“ (ს/ნ: 404476205) 2023 წლის 6 ივნისს მიეცა გაფრთხილება NAT220003684 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2022 წლის 1 აპრილის № 258 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5^1 პუნქტის თანახმად, გაფრთხილება გამოიყენება ერთხელ და იგი მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში. სს „საქართველოს კლინიკების“ გაფრთხილების მოქმედების ვადა კი იწურება 2024 წლის 6 ივნისს.

7.6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.

7.7. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინებები აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძვლები, რადგან მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები. შესაბამისად, მოცემული დარღვევებისა და მიმწოდებლის მანამდე არსებული გაფრთხილების ფაქტის გათვალისწინებით, სს „საქართველოს კლინიკები“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. სს „საქართველოს კლინიკები“ (ს/ნ: 404476205) 2023 წლის 13 დეკემბერს დარეგისტრირდეს შავ სიაში და მის შესახებ რეესტრში გაკეთდეს სამი სარეგისტრაციო ჩანაწერი.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე